სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030694848302619

24 / ივლისი / 2019 წ. **თბილისი #06-138/ო**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში მოსალოდნელი რეორგანიზაციის შესახებ

„საქართველოს შრომის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 37- მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 38-ე მუხლის პირველის ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში სისტემური და ეფექტური მმართველობის უზრუნველსაყოფად მოსალოდნელი რეორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 24 ივლისის #01-237/ო ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრში (შემდგომში-ცენტრი) ფუნქციონალური მოქნილობის ამაღლებისა და ეფექტური მმართველობის მიზნით გამოცხადდეს **რეორგანიზაცია,** რომელსაც შეიძლება მოჰყვეს შტატების შემცირება და სტრუქტურული ცვლილებები.
2. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (კ. ოჩიგავა) და იურიდიულ სამმართველოს (ლ. ებანოიძე) უზრუნველყონ:
ა) ამ ბრძანების ცენტრში დასაქმებულთათვის გაცნობა და/ან საჯაროდ გამოცხადება, თვალსაჩინო ადგილზე ღიად განთავსება;
ბ) რეორგანიზაციის პროცესთან დაკავშირებით კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.
3. ამ ბრძანების შესრულების მიზნით, დაევალოთ ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს, კურატორ გენერალური დირექტორის მოადგილეებთან შეთანხმებით/კოორდინაციით, ამ ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან 5 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყონ სტრუქტურული ერთეულების ახალი ფუნქციური ანალიზი და ახალი საშტატო განრიგის შექმნისათვის წინადადებების შემუშავება და წარმოდგენა.
4. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორი ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად ამირან გამყრელიძე